ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 425

27 ნოემბერი
"---"---------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1) მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 19016 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.06.003.002) და 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.06.003.005) (მდებარე ქ. თბილისში, ისნის რაიონი) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზება, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაში არსებული უფლებრივად უნაკლო 19089 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.06.005.009) (მდებარე ქ.თბილისი, ისნის რაიონი) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 28 ოქტომბრის №43.08.1238 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების შესაბამისად.

2) განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- 2015 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 28 ოქტომბრის №43.08.1238 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № -- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ერთის მხრივ ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო", მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შატრავას ქუჩა №7) და მეორეს მხრივ, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია (ს/ნ №204395537) წარმოდგენილი --------- პ/ნ № -------- მიერ, მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II მოედანი, №1, ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას:

ა) ქ. თბილისში, ისნის რაიონში არსებულ 19016 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.17.06.003.002).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.06.003.002; განცხადების რეგისტრაციის №882015591360 - 16/10/2015 15:19:48; მომზადების თარიღი: 16/10/2015 16:06:53; სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: ისანი - 17; კვარტალი: 06; ნაკვეთი: 003/002; ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 19016 კვ.მ; მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი; მესაკუთრე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი.

ბ) ქ. თბილისში, ისნის რაიონში არსებულ 73 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.17.06.003.005)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.06.003.005; განცხადების რეგისტრაციის #882015591396- 16/10/2015 15:24:08; მომზადების თარიღი: 16/10/2015 16:20:12; სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: ისანი - 17; კვარტალი: 06; ნაკვეთი: 003/005; ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 73 კვ.მ; მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი; მესაკუთრე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი.

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქ. თბილისში, ისნის რაიონში (საკადასტრო კოდი: №01.17.06.005.009).**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.06.005.009; განცხადების რეგისტრაციის #88201559776220/10/2015 16:07:10; მომზადების თარიღი: 20/10/2015 16:16:51; სარეგისტრაციო ზონა: თბილისი 01; სექტორი: ისანი - 17; კვარტალი: 06; ნაკვეთი: 005/009; ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 19089 კვ.მ; მისამართი: ქ. თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, სამხედრო ნაწილის მიმდებარედ; მესაკუთრე: სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია.

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

2.2. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებები ხელშეკრულების მხარეებს გადაეცემა საკუთრების უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.3. გადაცემულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების ორივე მხარის საკუთრების უფლებების რეგისტრაციის მიზნით, სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს) წარედგინება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

3.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

3.2. სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის საკუთრებად. უძრავი ქონება არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

3.3. მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

3.4. სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.5. სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 4. სხვა პირობები

4.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

4.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

4.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

4.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

4.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

_____

სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია

_____